ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №551147

ნომერი: AR1106777

თარიღი : 01.02.2013

გაცემის თარიღი : 19.02.2013

გაცნობის თარიღი : 19.02.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ცაბაძე , N 2 / ქალაქი თბილისი , მდ.მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ცაბაძის ქუჩას შორის ავტოგასამართ სადგურ "მაგნატი"-ს მიმდებარედ (ნაკვ.18/17);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბერუჩა ლუხუტაშვილი პ/ნ 01001022313
- თბილისი გლდანი I მ/რ კორ. 2 ბ. 114

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექურის სამსახურის 2011 წლის 28 სექტემბრის #1483 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ბერუჩა ლუხუტაშვილმა 2013 წლის 02 თებერვალს #AR1106777 განცხადებით მომართა სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 2011 წლის 28 სექტემბრის #1483 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, კონფიგურაციისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის

არქიტექტურის სამსახურის მიერ 2011 წლის 28 სექტემბერს ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ცაბაძის ქ. #2–ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.13.07.018.015; ფართობი: 1611.00 კვ.მ.) რესტორანის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #1483 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. აღნიშნული პირობების საფუძველზე საპროექტო მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერისა და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #882013030689, მომზადების თარიღი: 28.01.13) თანახმად ირკვევა, რომ მომიჯნავე მიწის ნაკვეთის შემოერთების შედეგად შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შეადგენს 2016.00 კვ.მ.-ს, ახალი საკადასტრო კოდი #01.13.07.018.031.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2011 წლის 28 სექტემბრის #1483 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის ცვლილებასთან დაკავშირებით.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 28 სექტემბრის #1483 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს 2016.00 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.13.07.018.031;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 28 სექტემბრის #1483 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882013030689, მომზადების თარიღი: 28.01.13; საკადასტრო კოდი: #01.13.07.018.026);
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2011 წლის 28 სექტემბრის #1483 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.